

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნასთან ერთად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9-28

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 11 აპრილს:

არჩილ მორჩილაძე

გენერალური დირექტორი

ლაშა რობაქიძე

მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ - ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ - ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსის) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსის-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

მალხაზ უჯმაჯურიძე

2019 წლის 11 აპრილი

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
მოზიდული პრემია		14,542,221	5,266,990
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(2,324,365)	(22,068)
წმინდა მოზიდული პრემია		12,217,856	5,244,922
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(1,414,955)	(3,828,730)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში			
გადამზღვევლის წილი		170,280	15,000
წმინდა გამოუმუშავებელი პრემია	4	10,973,181	1,431,192
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		389,742	183,362
საკომისიო შემოსავალი	5	744,736	2,767
სულ შემოსავალი		12,107,659	1,617,321
ანაზღაურებული სამედიცინო დაზღვევის ზარალები	6	(8,999,126)	(507,166)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	6	1,164,842	-
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	10	(1,333,294)	(339,782)
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების			
ცვლილებაში	10	439,791	-
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(61,599)	-
შემოსავალი რეგრესიდან		165,447	-
წმინდა სადაზღვევო ზარალები		(8,623,939)	(846,948)
საკომისიო ხარჯები		(37,689)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,844,382)	(357,180)
საპროცენტო ხარჯი		(4,417)	-
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა		30,843	-
ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		(1,789)	(128)
მოგება დაბეგრამდე		1,626,286	413,065
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(243,943)	(56,926)
წლიური მოგება		1,382,343	356,139

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე

ლაშა რობაქიძე

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

9-28 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი , 2018	31 დეკემბერი , 2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	160,746	63,389
გადაზღვევის აქტივები	10	625,071	15,000
გადაზღვევის მოთხოვნები	11	1,961,965	-
სხვა აქტივები	12	205,213	3,473
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	13	6,355,107	4,232,313
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	4,342,450	2,215,772
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,288,850	533,058
სულ აქტივები		14,939,402	7,063,005
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	3,180,100	2,200,100
გაუნაწილებელი მოგება		1,738,482	356,139
		4,918,582	2,556,239
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	10	6,916,761	4,168,512
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	11	2,253,851	13,861
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	5	49,621	5,440
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	8	31,375	-
მიღებული სესხი	16	384,077	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	180,471	262,027
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	8	204,664	56,926
		10,020,820	4,506,766
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,939,402	7,063,005

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე

გენერალური დირექტორი

ლაშა რობაქიძე

მთავარი ბუღალტერი

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 15)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	2,200,100	-	2,200,100
წლიური მოგება	-	356,139	356,139
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,200,100	356,139	2,556,239
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	980,000	-	980,000
წლიური მოგება	-	1,382,343	1,382,343
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,180,100	1,738,482	4,918,582

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე

გენერალური დირექტორი

ლაშა რობაქიძე

მთავარი ბუღალტერი

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	11,813,470	1,192,255
გადახდები გადამზღვევლებისთვის	(42,256)	-
სადაზღვევო ზარალების გადახდები	(8,885,771)	(507,166)
სხვა გადახდები	(1,623,031)	(272,914)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	1,262,412	412,175
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(127,555)	(43,206)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(3,473)
მიღებული პროცენტი	363,064	167,690
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	235,509	121,011
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აქციების გამოშვება	980,000	2,200,100
სესხების მიღება, წმინდა	379,660	-
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	1,359,660	2,200,100
ფულის წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	2,857,581	2,733,286
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	(1,789)	(128)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	2,733,158	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	5,588,950	2,733,158
შემადგენლობა:		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,288,850	533,058
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,342,450	2,215,772
სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	5,631,300	2,748,830
მინუს დარიცხული პროცენტი	(42,350)	(15,672)
სულ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის	5,588,950	2,733,158

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე

გენერალური დირექტორი

ლამა რობაქიძე

მთავარი ბუღალტერი

9-28 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2017 წლის მაისში და ახორციელებს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებას საქართველოში (იხ. გ/შენიშვნა 3). კომპანიის რეგისტრაციის მისამართია მარიჯანის ქ. 4, თბილისი.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები არიან:

არჩილ მორჩილაძე	51%
შპს „კლინიკა ნიუმედი“	49%
	100%

შპს „კლინიკა ნიუმედის“ 100%-ს ფლობს ხათუნა მორჩილაძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი არის ლიკვიდურობის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. ეს ეხება IFRS 9 *ფინანსურ ინსტრუმენტებსა*, ვინაიდან, 2016 წლის სექტემბერში მიღებული ცვლილებით, სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, 2021 წლამდე გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება (ნაცვლად IFRS 9-ისა). 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 *სადაზღვევო კონტრაქტები*, რომელიც 2021 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს.

2.3. სადაზღვევო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

2.3.1. მოზიდული პრემია

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (გ/შენიშვნა 2.8).

2.3.2. გადაზღვევის პრემია

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია არის წლის განმავლობაში აღიარებული დასათმობი პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

2.3.3. სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.4. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

- | | |
|--|--------------------------------|
| • იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 15% შემცირებადი ნაშთის მეთოდით |
| • საწყობის შენობა | 5% შემცირებადი ნაშთის მეთოდით |
| • კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა | 20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით |
| • ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით |
| • სხვა | 20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით |

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5. არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.6. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოღინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.7. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.7.1. დაზღვევასთან დაკავშირებული აქტივები

- სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა არის გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამოუმუშავებელი პრემიების მოთხოვნის ჯამი.
- მოთხოვნა გადამზღვევლისგან არის გადამზღვევლის წილი გადასახდელ ან გადახდილ ზარალებში და გადამზღვევლებისგან საკომისიოს მოთხოვნა.
- სადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.
- რეგრესის მოთხოვნა არის მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

2.8. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. IBNR გამოითვლება კანონმდებლობის შესაბამისად: მოზიდული პრემიის 5% ყველა სადაზღვევო კონტრაქტისთვის, გარდა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევისა და მოზიდული პრემიის 2% სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში. არ ხდება ვალდებულების დისკონტირება დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით. არ ხდება კატასტროფის რეზერვის აღიარება. ვალდებულება ჩამოიწერება, როცა ხდება გადახდა, გაქვითვა ან ანულირება.

გამომუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ ამოწურულ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

2.8.1. ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას (მინუს აკვიზიციის გადავადებული ხარჯი). თუ აღმოჩნდება, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის არაადეკვატური, ხდება პრემიის დეფიციტის რეზერვის აღიარება მოგება-ზარალის გამოყენებით.

2.9. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა (ლიზინგი) თუ მფლობელობასთან დაკავშირებული რისკები და უკუგება მნიშვნელოვანწილად გადადის მოიჯარესთან. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის საიჯარო გადასახდელები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, საიჯარო პირობების შესაბამისად.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.10. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	₾ / USD	₾ / EUR
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წელს	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წელს	2.51	2.83

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.11. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.12. ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.13. კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.14. ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც ჯგუფი არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას. შეფასებები კეთდება როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო ვალდებულების უმეტეს ნაწილს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

4. წმინდა გამომუშავებული პრემია

	2018				2017	
	მოზიდული პრემია / (გაუქმებები)	გადაზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	მოზიდული პრემია / (გაუქმებები)	გადაზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია
სამედიცინო	9,059,030	-	9,059,030	5,227,379	-	5,227,379
კასკო	3,077,284	(1,974,473)	1,102,811	16,864	(11,805)	5,059
MTPL (სავალდ.)	1,859,142	-	1,859,142	-	-	-
ავტო TPL	201,996	(139,437)	62,559	802	(561)	241
ქონება	106,991	(85,593)	21,398	5,962	(4,769)	1,193
უბედური						
შემთხვევა	75,376	(46,586)	28,790	57	(40)	17
საავიაციო ტრანსპ.	59,918	(42,574)	17,344	-	-	-
ვალდ. შესრულება	38,344	-	38,344	8,802	-	8,802
კარგო	30,634	(22,502)	8,132	6,989	(4,893)	2,096
საავიაციო TPL	18,577	(13,200)	5,377	-	-	-
სამოგზაურო	12,229	-	12,229	135	-	135
TPL	2,700	-	2,700	-	-	-
	14,542,221	(2,324,365)	12,217,856	5,266,990	(22,068)	5,244,922
ცვლილება						
გამომუშ. პრემ.						
რეზერვში	(1,414,955)	170,280	(1,244,675)	(3,828,730)	15,000	(3,813,730)
წმინდა გამომუშ.						
პრემია	13,127,266	(2,154,085)	10,973,181	1,438,260	(7,068)	1,431,192

ავტო TPL (სავალდებულო) - ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას. მის ადმინისტრირებას ახორციელებს აიპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“. ცენტრმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის 1 მარტიდან. სავალდებულო ავტო TPL დაზღვევა არის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ერთობლივი ოპერაცია, სადაც 17 ქართული სადაზღვევო კომპანია (კომპანიის ჩათვლით) არიან ერთობლივი ოპერატორები და თანაბრად ინაწილებენ სადაზღვევო შემოსავალს და რისკებს.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოდგენილია მე-10 გ/შენიშვნაში.

5. საკომისიო შემოსავალი

	2018	2017
ბრუტო საკომისიო შემოსავალი	788,917	8,207
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	(49,621)	(5,440)
წინა პერიოდში გადავადებული შემოსავლის გამომუშავება	5,440	-
საკომისიო შემოსავალი	744,736	2,767

გადავადებული საკომისიო შემოსავლის მოძრაობა:

	2018	2017
1 იანვარი	5,440	-
ბრუტო საკომისიო შემოსავალი	788,917	8,207
ამორტიზაცია	(744,736)	(2,767)
31 დეკემბერი	49,621	5,440

6. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

	2018			2017		
	ანაზღაურებული	გადამზღვევლის წილი	წმინდა ანაზღაურება	ანაზღაურებული	გადამზღვევლის წილი	წმინდა ანაზღაურება
სამედიცინო	7,163,027	-	7,163,027	507,166	-	507,166
კასკო	1,627,334	(1,063,483)	563,851	-	-	-
ავტო TPL	143,156	(100,209)	42,947	-	-	-
MTPL სავალდ.	59,776	-	59,776	-	-	-
ვალდ. შესრულება	4,150	-	4,150	-	-	-
უბედური შემთხვევა	1,641	(1,150)	491	-	-	-
სამოგზაურო	42	-	42	-	-	-
	8,999,126	(1,164,842)	7,834,284	507,166	-	507,166

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა კომპენსაცია	1,099,752	245,522
„სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საწევროები	285,541	-
იჯარა	69,082	21,111
მარკეტინგი	50,333	31,570
საოფისე	36,008	3,489
საკომუნიკაციო და კომუნალური	33,905	5,322
სხვა	269,761	50,166
	1,844,382	357,180

8. მოგების გადასახადი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ხარჯი:

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	135,277	16,964
მოგების გადასახადის ანარიცხი	77,291	39,962
გადავადებული მოგების გადასახადი	31,375	-
	243,943	56,926

მოგების გადასახადის რეკონსილაცია:

	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	1,626,286	413,065
თეორიული მოგების გადასახადი (15%)	243,943	61,960
დროებითი სხვაობების ეფექტი	(31,375)	(5,034)
მოგების გადასახადის ხარჯი	212,568	56,926
	13%	14%

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება შედგება შემდეგი დროებითი სხვაობებისგან:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ძირითადი საშუალებები	14,604	-
რეგრესის მოთხოვნა	16,771	-
	31,375	-

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). სადაზღვევო კომპანიებისთვის კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, უკანასკნელი ცვლილებების შედეგად, აღნიშნული გადავადდა 4 წლით. შესაბამისად, კომპანიამ აღიარა გადავადებული მოგების გადასახადი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება:

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	152,241	16,964
მოგების გადასახადის ანარიცხი	117,253	39,962
გადახდილი მოგების გადასახადი	(64,830)	-
	204,664	56,926

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული მოწყობა	საწყობის შენობა	კომპ. ტექნიკა	ავეჯი და საოფისე აღჭ.	სხვა	სულ
ღირებულება						
1 იანვარი 2017	-	-	-	-	-	-
შეძენა	30,362	-	14,287	8,741	12,880	66,270
31 დეკემბერი 2017	30,362	-	14,287	8,741	12,880	66,270
შეძენა	530	26,906	66,758	14,977	9,408	118,579
31 დეკემბერი 2018	30,892	26,906	81,045	23,718	22,288	184,849
აკუმ. ცვეთა						
1 იანვარი 2017	-	-	-	-	-	-
ცვეთა	537	-	924	158	1,262	2,881
31 დეკემბერი 2017	537	-	924	158	1,262	2,881
ცვეთა	4,581	673	9,702	2,984	3,282	21,222
31 დეკემბერი 2018	5,118	673	10,626	3,142	4,544	24,103
ნარჩენი ღირ.						
31 დეკემბერი 2017	29,825	-	13,363	8,583	11,618	63,389
31 დეკემბერი 2018	25,774	26,233	70,419	20,576	17,744	160,746

ცვეთა მთლიანად საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში შედის, რომელის მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

10. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR)	5,243,685	3,828,730
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS)	1,333,954	234,357
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	339,122	105,425
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	6,916,761	4,168,512

გადამზღვევლის წილი სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
გადამზღვევლის წილი UPR-ში	185,280	15,000
გადამზღვევლის წილი RBNS-ში	439,791	-
გადამზღვევლის წილი IBNR-ში	-	-
გადაზღვევის აქტივები	625,071	15,000

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები გადამზღვევლის წილის გამოკლების შემდეგ:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR)	5,058,405	3,813,730
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS)	894,163	234,357
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	339,122	105,425
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი წმინდა ვალდ.	6,291,690	4,153,512

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების და გადამზღვევლის წილის ბრუნვის ანალიზი:

(a) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR):

	2018	2017
1 იანვრის მდგომარეობით	3,828,730	-
მოზიდული პრემია	14,542,221	5,266,990
გამომუშავებული პრემია	(13,127,266)	(1,438,260)
31 დეკემბრის მდგომარეობით	5,243,685	3,828,730

	2018	2017
1 იანვრის მდგომარეობით	15,000	-
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	2,324,365	22,068
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებულ პრემიაში	(2,154,085)	(7,068)
31 დეკემბრის მდგომარეობით	185,280	15,000

წმინდა UPR:

	2018	2017
1 იანვრის მდგომარეობით	3,813,730	-
წმინდა მოზიდული პრემია	12,217,856	5,244,922
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	(10,973,181)	(1,431,192)
31 დეკემბრის მდგომარეობით	5,058,405	3,813,730

(b) ზარალების რეზერვი (RBNS და IBNR):

	2018	2017
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	234,357	-
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	105,425	-
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	339,782	-
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	10,332,420	846,948
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(8,999,126)	(507,166)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	1,333,294	339,782
	1,333,954	234,357

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით		
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	339,122	105,425
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,673,076	339,782

გადამზღვევლის წილი RBNS-ში:

	2018	2017
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	1,604,633	-
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(1,164,842)	-
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	439,791	-
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	439,791	-
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	439,791	-

RBNS და IBNR, ნეტო:

	2018	2017
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	234,357	-
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	105,425	-
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	339,782	-
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	8,727,787	846,948
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(7,834,284)	(507,166)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	893,503	339,782
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	894,163	234,357
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	339,122	105,425
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,233,285	339,782

11. გადაზღვევა

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	2,253,851	13,861
გადაზღვევის მოთხოვნები:		
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	(1,164,842)	-
მოსაღები საკომისიო	(797,123)	-
ვალდებულება გადამზღვევლების მიმართ, წმინდა	291,886	13,861

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
რეგრესის მოთხოვნა	111,804	-
გადახდილი ავანსები	83,231	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,021	-
არამატერიალური აქტივები, ამორტიზაციის გამოკლებით	3,301	3,473
გადავადებული აკვიზიციის ხარჯი	1,856	-
	205,213	3,473

13. სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნები კლიენტების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სს „საქართველოს რკინიგზა“ (სამედიცინო დაზღვევა)	4,125,807	4,177,218
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (სამედიცინო დაზღვევა)	1,169,276	-
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (კასკო)	560,179	-
სხვა კლიენტები	499,845	55,095
სულ სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	6,355,107	4,232,313

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნის გაუფასურების ინდიკატორი არ არსებობდა.

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნის სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

14. ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1,286,951	531,649
ნაღდი ფული	1,899	1,409
ფული და ფულის ექვივალენტები	1,288,850	533,058
მოკლევადიანი დეპოზიტები სს „ფინკა ბანკი საქართველოში“	3,180,100	2,200,100
მოკლევადიანი დეპოზიტი სს „თიბისი ბანკში“	100,000	-
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „თიბისი ბანკში“	1,020,000	-
დარიცხული პროცენტი	42,350	15,672
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,342,450	2,215,772
სულ ფული და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5,631,300	2,748,830

ფული და ფულის ექვივალენტების და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ შეზღუდულ ფულს (სავალდებულო რეზერვს) სარეგულაციო კანონმდებლობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აღნიშნული სავალდებულო რეზერვის ოდენობა დამოკიდებულია ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) შეფასებულ ოდენობაზე.

15. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება შემდეგი ოდენობის ჩვეულებრივი აქციებისგან, 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი:

	2018	2017
ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	4,200,100	2,200,100
გადაუხდელი	(1,020,000)	-
გადახდილი სააქციო კაპიტალი	3,180,100	2,200,100

აქციონერები წარმოდგენილია გ/შ 1 ზოგად ინფორმაციაში. სარეგულაციო კანონდებლობის კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ იხ. მე-18 გ/შენიშვნა, კაპიტალის მართვის ნაწილი.

16. მიღებული სესხი

კომპანიას მიღებული აქვს მოკლევადიანი სესხი ლარში არჩილ მორჩილაძისგან (კომპანიის აქციონერი), სესხის წლიური სარგებელია 12%.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
დავალიანება სახელმწიფო ზედამხედველობისადმი	115,629	-
დავალიანება მომწოდებლებისადმი	51,506	26,294
მიღებული ავანსები (საგარანტიო დეპოზიტები)	-	144,689
სხვა მიღებული ავანსები	-	87,012
სხვა ვალდებულებები	13,336	4,032
	180,471	262,027

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

18. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რისკებთან. ამიტომ რისკების მართვა წარმოადგენს მისი სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რისკის მუდმივი განსაზღვრის, შეფასების და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესის მეშვეობით რისკების ლიმიტის და სხვა კონტროლის გათვალისწინებით. კომპანიაში მომუშავე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებსაც მოიცავს მისი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო. ქვემოთ მოცემულია ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა ამ რისკებთან მიმართებაში.

მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სტრუქტურის ძირითადი მიზანია ჯგუფის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც ხელს უშლის მის მიერ დასახული მიზნების მდგრად მიღწევას,

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მათ შორის მოიაზრება შესაძლებლობების გამოუყენებლობა. კომპანია აღიარებს რისკების მართვის ქმედითი და ეფექტური სისტემის არსებობის კრიტიკულ მნიშვნელობას.

კომპანიამ შექმნა რისკების მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობის შესაბამისი წევრების მიმართ რისკების მართვის დადგენილი პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს ასეთი პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს ჯგუფის მიერ რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ხარისხი და დივერსიფიკაცია, სადაზღვევო და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კორპორაციულ მიზნებთან და მიუთითებს ანგარიშგების მოთხოვნებს.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა

კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტირების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კომპანიის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღუდველ დებულებებს, მაგალითად კაპიტალის ადეკვატურობა – სადაზღვევო კომპანიების მხრიდან დეფოლტის და გაკოტრების რისკის შესამცირებლად, რათა შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულება მათი წარმოშობისას.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მისი სადაზღვევო და არასადაზღვევო ბიზნესისთვის არის საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობა ნორმატიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მარეგულირებელი მითითებების საფუძველზე.

მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ

კომპანია ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს უკუგების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის რეალურ და საჭირო დონეებს შორის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს ჯგუფის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.

გასულ წელს, წინა წელთან შედარებით კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

კაპიტალის მართვა

საქართველოს სადაზღვევო სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდის უზარაულობის მარჟის უზრუნველყოფა.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის #27 ბრძანების მიხედვით, მზღვეველის სადაზღვევო საქმიანობის გახორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 2,200 ლარზე ნაკლები და კომპანიას ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს ამ ოდენობის ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშებზე. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა არის 4,200 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში და 7,200 ლარი შემდგომში.

კომპანია აკმაყოფილებდა საზედამხედველო კანონმდებლობის მოთხოვნებს კაპიტალთან მიმართებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18.1. სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რაც მოიცავს სადაზღვევო ზარალის ოდენობის და დადგომის დროის გაურკვევლობას. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა შეფასებულ ოდენობას. აღნიშნულზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე და მასშტაბი.

რისკების შემცირება ხდება ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე სადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. ჯგუფი ადგენს ანდერრაიტინგის ღირებულებებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, ეპიდემიების და მსგავსი შემთხვევების შედეგად. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო კონცენტრაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემოსავლებზე.

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს და ჯგუფის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს. ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც ჯგუფს ინფორმაცია აქვს.

ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: ჯგუფი განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხდებოდა ბასს 37-ის *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები* მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ ჯგუფი მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

18.2. ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. საანგარიშგებო პერიოდში ეს რისკი კომპანიისთვის არ იყო არსებითი.

ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1,288,850	533,058
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,342,450	2,215,772
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	6,355,107	4,232,313
გადაზღვევის მოთხოვნები	1,961,965	-
რეგრესის მოთხოვნა (სხვა აქტივები)	111,804	-
	14,060,176	6,981,143

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ფინანსური ვალდებულებები		
წმინდა სადაზღვევო ზარალები (წმინდა RBNS და IBNR, გ/შ 10)	1,233,285	339,782
ვალდებულება გადამზღვევლის მიმართ	2,253,851	13,861
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	180,471	262,027
მოგების გადასახადის ვალდებულება	204,664	56,926
	3,872,271	672,596

18.2.1. საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	1,286,951	531,649
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,342,450	2,215,772
სადაზღვევო მოთხოვნები	6,355,107	4,232,313
გადაზღვევის მოთხოვნები	1,961,965	-
რეგრესის მოთხოვნა (სხვა აქტივები)	111,804	-
	14,058,277	6,979,734

18.2.2. ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე. საანგარიშგებო თარიღში ყველა ფინანსური ვალდებულება იყო მიმდინარე.

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2018	2017
<i>ტრანზაქციის ოდენობა:</i>		
აქციონერისთვის გადახდილი სამედიცინო ზარალი	1,585,738	256,670
<i>ნაშთი:</i>	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სესხი აქციონერისგან	384,077	-

ზემოთ წარმოდგენილი ტრანზაქციები შესრულდა იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებთან.

საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია იყო შემდეგი:

	2018	2017
საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია	423,019	97,567

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 11 აპრილს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 11 აპრილს:



არჩილ მორჩილაძე

გენერალური დირექტორი



ვასილ გომურაშვილი

ფინანსური დირექტორი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ - ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ - ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე. ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

მალხაზ უჯმაჯურიძე

2019 წლის 11 აპრილი



სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
მოზიდული პრემია		14,542,221	5,266,990
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(2,324,365)	(22,068)
წმინდა მოზიდული პრემია		12,217,856	5,244,922
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(1,414,955)	(3,828,730)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში			
გადამზღვევლის წილი		170,280	15,000
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	4	10,973,181	1,431,192
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		389,742	183,362
საკომისიო შემოსავალი	5	744,736	2,767
სულ შემოსავალი		12,107,659	1,617,321
ანაზღაურებული სამედიცინო დაზღვევის ზარალები	6	(8,999,126)	(507,166)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	6	1,164,842	-
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	10	(1,333,294)	(339,782)
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების			
ცვლილებაში	10	439,791	-
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(61,599)	-
შემოსავალი რეგრესიდან		165,447	-
წმინდა სადაზღვევო ზარალები		(8,623,939)	(846,948)
საკომისიო ხარჯები		(37,689)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,844,382)	(357,180)
საპროცენტო ხარჯი		(4,417)	-
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა		30,843	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,789)	(128)
მოგება დაბეგვრამდე		1,626,286	413,065
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(243,943)	(56,926)
წლიური მოგება		1,382,343	356,139

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.



არჩილ მორჩილაძე

გენერალური დირექტორი



ვასილ გომურაშვილი

ფინანსური დირექტორი

9-28 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	160,746	63,389
გადაზღვევის აქტივები	10	625,071	15,000
გადაზღვევის მოთხოვნები	11	1,961,965	-
სხვა აქტივები	12	205,213	3,473
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	13	6,355,107	4,232,313
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	4,342,450	2,215,772
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,288,850	533,058
სულ აქტივები		14,939,402	7,063,005
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	3,180,100	2,200,100
გაუნაწილებელი მოგება		1,738,482	356,139
		4,918,582	2,556,239
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	10	6,916,761	4,168,512
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	11	2,253,851	13,861
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	5	49,621	5,440
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	8	31,375	-
მიღებული სესხი	16	384,077	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	180,471	262,027
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	8	204,664	56,926
		10,020,820	4,506,766
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,939,402	7,063,005

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.



არჩილ მორჩილაძე

გენერალური დირექტორი



ვასილ გოცურაშვილი

ფინანსური დირექტორი


სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 15)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	2,200,100	-	2,200,100
წლიური მოგება	-	356,139	356,139
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,200,100	356,139	2,556,239
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	980,000	-	980,000
წლიური მოგება	-	1,382,343	1,382,343
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,180,100	1,738,482	4,918,582

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.



არჩილ მორჩილაძე
 გენერალური დირექტორი




ვასილ გომურაშვილი
 ფინანსური დირექტორი

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	11,813,470	1,192,255
კლიენტებისგან მიღებული თანხები	(42,256)	-
გადახდები გადამზღვევლებისთვის	(8,885,771)	(507,166)
სადაზღვევო ზარალების გადახდები	(1,623,031)	(272,914)
სხვა გადახდები	1,262,412	412,175
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(127,555)	(43,206)
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(3,473)
არამატერიალური აქტივების შეძენა	363,064	167,690
მიღებული პროცენტი	235,509	121,011
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	980,000	2,200,100
აქციების გამოშვება	379,660	-
სესხების მიღება, წმინდა	1,359,660	2,200,100
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		
ფულის წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	2,857,581	2,733,286
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	(1,789)	(128)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	2,733,158	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	5,588,950	2,733,158
შემაღწელობა:		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,288,850	533,058
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,342,450	2,215,772
სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	5,631,300	2,748,830
მინუს დარიცხული პროცენტი	(42,350)	(15,672)
სულ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის	5,588,950	2,733,158

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 11 აპრილს.


არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი


ვასილ გორმურაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-28 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სს „საქართველოს სადამსჯევო ჯგუფი“

მმართველობითი ანგარიშგება
2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

ხვალინდელი დღე საიმედო ხელში!

სარჩევი

მისია	3
ძირითადი პრინციპები	3
ამოცანები	3
კომპანიის შესახებ	3
რას ვსაქმიანობთ	4
კორპორაციული მართვა	4
კომპანიის მიერ შემუშავებული შიდა პროცედურები (დოკუმენტირებული).....	5
მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა.....	5
უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა	5
მოსალოდნელი რისკები და გამოწვევები.....	5
შედეგები.....	6
სამომავლო გეგმები	6

მისია

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის მისიაა სადაზღვევო პროდუქტების და სადაზღვევო სერვისების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით და მომხმარებლის ერთგულებაზე აგებული, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი კეთილსინდისიერი მომსახურება.

ძირითადი პრინციპები

- კომპანია უზრუნველყოფს სადაზღვევო მომსახურებას რაციონალურად და კარგად გათვლილი სადაზღვევო პროდუქტებით და მაღალრეიტინგული გადამზღვეველით,
- კომპანია იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ მიდგომებსა და მეთოდებს ყოველდღიურ საქმიანობაში;
- კომპანია ითვალისწინებს სადაზღვევო ბაზრის გამოწვევებს და მუშაობს მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამასთანავე ახალი სადაზღვევო პროდუქტების შექმნასა და რეალიზაციაზე;
- კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სადაზღვევო პროდუქტების და სადაზღვევო სერვისების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამოცანები

- კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან და განახლებასთან მიმართებაში;
- კომპანიის განვითარება ახალი სადაზღვევო ინსტრუმენტებისა და ბაზრის ათვისების კუთხით

კომპანიის შესახებ

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი დაარსდა 2017 წელს 100%-იანი ქართული ინვესტიციით. კომპანია მომხმარებელს სადღეიდოდ ქართულ ბაზარზე არსებულ თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს. კომპანიის მთავარი მიზანია მომხმარებლისათვის მომსახურეობის შეთავაზება მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო პროვაიდერების, ოჯახის ექიმების ფართო ქსელითა და პროვაიდერი ავტო სერვის ცენტრებით, რაც მაქსიმალურად მორგებულია მათ კომფორტზე; კომპანიაში მუდმივად ხდება მომსახურეობის გაუმჯობესება. ასევე კომპანიას აქვს ონლაინ სერვისების გამართული სისტემა

რას ვსაქმიანობთ

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ძირითად პროდუქტებს:

- ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ავტომობილის დაზღვევა (კერძო და კორპორაციული);
- ავტომობილ ტრანსპორტის მფლობელთა დაზღვევა მესამე პირის წინაშე;
- მძღოლის, მგზავრების ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან;
- სახმელეთო გადაზიდვების პასუხისმგებლობის დაზღვევა: საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა; კონტეინერების დაზღვევა;
- ტვირთის დაზღვევა
- ქონების დაზღვევა;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- აგროდაზღვევა;
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ვალდებულებათა შესრულების (ფინანსური გარანტიები) დაზღვევა;
- სხვადასხვა

კორპორაციული მართვა

კომპანიის მმართველობის სტრუქტურა სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბების შემდეგ დაიხვეწა და მორგებული გახდა თანამედროვე კორპორაციისათვის. სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში მოქმედებს დირექტორთა საბჭო, რომელიც შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს და ახდენენ ყოველდღიური საქმიანობის მონიტორინგს.

კორპორაციული მმართველობის განუყოფელი ნაწილი გახდა შიდა კონტროლი, რომლის მიზნებისათვის შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პირდაპირ დაქვემდებარებაშია სამეთვალყურეო საბჭოსთან. ანგარიშგება მიმდინარეობს კვარტალურად, თუმცა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე შესაძლებელია ეს ვადა ერთ თევმდეც შემცირდეს.

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის მოთხოვნებისა და კომპანიის გაფართოებიდან გამომდინარე იწერება ე.წ. შიდა პროცედურების გაწერის პოლიტიკა; კომპანიაში ყოველი სამსახურისათვის ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ამ სამსახურის ფუნქცია მოვალეობებს, ანგარიშგების ფორმებსა და ვადებს.

კომპანიის მიერ შემუშავებული შიდა პროცედურები (დოკუმენტირებული)

■ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტში გაწერილია კომპანიის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუცილებელი პროცედურა, რომელიც გადაცემული აქვს კომპანიის ყველა რგოლს სახემდღავანელოდ.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა

კომპანიაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციის შესაბამისად შემუშავდა ინსტრუქცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ინსტრუქციის მოხოვნებიდან გამომდინარე, ყოველ სადაზღვევო ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც ეხება სადაო საკითხების გადაჭრას, პრეტენზიის წამოყენების ვადას და ყველა იმ ეტაპს, რომელსაც გაივლის კომპანია მომხმარებლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად/უარსაყოფად.

■ სადაზღვევო პოლისის გაცემის პროცედურა

კომპანიაში შემუშავდა პოლისის გაცემის აღმწერი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაწერილია სადაზღვევო პოლისის გაცემის თანმიმდევრობა და პირის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია დოკუმენტაციის ნუსხა. დოკუმენტი დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ და ხდება მისი ამოქმედება დაზღვევის ნებისმიერი სახეობისათვის.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიაში შექმნილია სპეციალური დანაყოფი, რომელიც მუშაობს ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისი პროცედურის დანერგვაზე.

ამ პროცედურის საბოლოო მიზანია სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში დაამკვიდროს საქართველოს კანონისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური თუ იურიდიული პირის იდენტიფიცირებას, საექვო გარიგებების მონიტორინგსა და შესაბამის რეპორტირებას, მონაცემების სისტემატიზაციას შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში და ზოგადად ზემოთ მოყვანილი კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას.

მოსალოდნელი რისკები და გამოწვევები

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობა და ვალუტის კურსის ცვლილებებია. ბუნებრივია, რომ არასტაბილურ გარემოში მცირდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობა, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება სადაზღვევო ბაზარზე. ამასთანავე კომპანიას

გარკვეული ვალდებულებების გასტუმრება (მაგალითად გადაზღვრვა) უხდება უცხოურ ვალუტაში, რაც მოსალოდნელია რომ სერიოზული ზარალის წყარო გახდეს.

შედეგები

მიმდინარე წლების განმავლობაში კომპანია გავიდა შემდეგ ძირითად მაჩვენებლებზე;

მოზიდული პრემია	14 542 221 ლარი
გადაზღვევის პრემია	2 324 365 ლარი
გამომუშავებულ პრემია ნეტო	10 973 181 ლარი
ანაზღაურებული ზარალი ნეტო	8 623 939 ლარი
წმინდა მოგება	1 382 343 ლარი

კომპანიამ არსებობის მეორე წლის თავზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, როგორც მოზიდული პრემიის სიდიდით, ისე კლიენტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით.

სამომავლო გეგმები

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი მუდმივად ანახლებს მომსახურეობის სქემას, რაც დადებითად აისახება მომხმარებლის კმაყოფილებაზე; ინერგება ინოვაციური შეთავაზებები, პროდუქტების გაყიდვა ელექტრონულად, ელექტრონული ხელმოწერის პროცედურის დანერგვა, რამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს მომსახურეობის ხარისხზე. კომპანიაში სპეციალური მიმართულებაა ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურეობის შექმნა, რაც თავის მხრივ ბაზრის წილი გაფართოებასა და კომპანიის რენტაბელობაზე დადებითად უნდა აისახოს.

გენერალური დირექტორი
არჩილ მორჩილაძე

ფინანსური დირექტორი
ვასილ გომურაშვილი



**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“)
მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება**

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“-ს აქციონერებს:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული დასკვნა 2019 წლის 11 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 11 აპრილის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 11 აპრილს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თიეის“ სახელით

27 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების შპს „აგარაკის“-ს, შპს „გლობალ ქოლი“-ს და შპს „შარდენი 2017“-ის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით არამოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნა 2019 წლის 20 მარტს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2019 წლის 20 მარტის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებთ მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2019 წლის 20 მარტს. კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

კომპანია თავისი შვილობილი კომპანიების 100%-იანი წილის მფლობელი, რომელთა ფინანსური ანგარიშგება არაარსებითია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „გლობალ ქოლი“ და შპს „შარდენი 2017“ არ ფუნქციონირებენ, ხოლო შპს „აგარაკი“-ს საკუთრებაში არის მხოლოდ საინვესტიციო ქონება მიწა, კომპანიის 2018 წლის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედრილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

24 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო



Closer to you